

ბაღდათის ზეცა

ვლადიმერ მაიაკოვსკის

Я
В долгу
Перед бродвейской лампией,
Перед вами
Багдадские небеса,
Перед Красной Армией
Перед вишнями Японии
Перед всем
Про что
Не успел написать..

- გულდასაწყვეტი დაგვრჩა მრავალი,
მაინც საერთო გვაქვს ერთი ვალი,
რაც მე მაწვალებს ღამე და დღეცა ლაჟვარდოვანი ბაღდათის ზეცა...

დაბადებიდან სიმღერა გვახლავს,
კამეჩს რომ ზურგზე აუწვავს ბალანს,
ვინ დაიჭირავს ამ უხილავ ხმას,
ვინ გაუკეთებს პოეტურ ბალანსს? =

რასაც სიყრმითვე სული მიყვება,
დამთოკველია ჩვენი გონების,
რაც არ იციან მხოლოდ ბრიყვებმა
ბოდვა ბროდვეის ლამპიონების...

მეინვარზე ასვლა მაინც აქვს სიტყვას,
უკვდავებაში გასროლილ შურდულს,
რაც სათქმელია ის უნდა ითქვას
გასტებს კარებზე დადებულ ურდულს.

როცა სიცოცხლე სიკვდილს მხარს უბამს
და სიმწრის ოფლი ბალიშს ასველებს,
იაპონიის გაშლილ ალუბალს
და საირმესკენ გაფენილ ველებს
ერთად ადგებათ დიდი ნათელი,
თრთოლვა, ცახცახი და ჟრუანტელი!..

გულდასაწყვეტი დაგვრჩა მრავალი,

მაინც საერთო გვაქვს ერთი ვალი,
რაც მე მაწვალეებს ღამე და დღეცა ლაჟვარდოვანი ბაღდათის ზეცა.

სხვისა სხვამ გითხრას, მე ბაღდათის ცის
მინდა გიმღერო ბავშვობის ნანა!
დღესა აპრილია, აპრილმა იცის
ვაშლის ხეებით სულის გატანა!..

როგორც დედის რძე და ბავშვის ტუჩი,
ასკდება ატმის ყვავილი ყვავილს,
მოდის ამ მეწყერს კაცი გადურჩი
ან საირმეზე ირმების ბღავილს...

ასე მგონია, შენი სიკვდილიც
სიზმარი არის მხოლოდ უხეში,
და ამ აპრილის რძიანი დილით
დადგები მუხდ ბაღდათის ტყეში,

ან ლერმონტოვის მოხვალ დემონი,
თოვლის შვაგების თეთრი გუნდებით,
რასაც ცხოვრებით მუდამ ემონე,
ახალ მეწყერად დაუბრუნდები,

ან წამოყვები ბავშვი წიგნებით
ეჟენის წკარუნით მოსულ დილიჟანსს
და ერთ პარტაზე ერთად ვისხდებით,
მოკლე შარვალში კანჭები გიჩანს.

სოლომონ მეფის გილიოტინა,
ხუთასწლიანი დიდი ჭანდარი,
თითქოს გამხდარა ზეცის ოდენა,
თვალი ვერ უწევს წვერი სად არი!..
მიჰქრის რიონი, აწყდება ლოდებს
და ჩვენ დავცურავთ იქ ლიფსიტები,
დიდ დასვენებას თითქო ელოდეს,
დაფართხალევენ ხეზე ჩიტები.

ხან კი მრისხანე ისმის გუგუნო,
სიმღერა ახალ მარსელიელთა,
ყაზახის მათრახს გააქვს ზუზუნო, ალიხანოვმა, სჩანს, დრო იხელთა.

რაზმი რაზმს შეცვლის, მიტინგი-მიტინგს,
წყევლა და კრულვა მეფის მტარვალეზს!
წულუკიძის ნეშტს ქვეყანა მისტირს,
კანიბალის ფიცს სტალინს ავალეზს...

ბევრი სხვაც დარჩა მოსაგონარი,
დადგება ლექსის ხვავი ასკეცად
და ცისარტყელას ჭრელი ზონარით
ყველაფერს იტყვის ბაღდათის ზეცა!

ფინინსპექტორთან გადაწყდა დავა
თვითონ სტალინმა აიღო სიტყვა
და ხალხის შვილმა თვითონ ითავა
ეთქვა, რაც ხალხის ცხელ გულში ითქვა.

ბაღდათის ზეცის თუ გაგყვა ჯავრი,
არც ბაღდათის ცა დაიდებს შენს ვალს.
აქაც იზრდება წითელი ჩარი,
შენს მაგიერად ის მწყობრში შევა.

და ძლევამოსილ საბჭოთა ჯარებს
ის ვაჟკაცურად მხარსაც აუბამს,

თუ დინგიანი გადააჭარბებს,
სისხლით შეღებავს მაშინ ალუბალს.

მაგრამ, უნდა თქვას კაცმა მართალი,
არ გაგყოლია შენ ქვეყნის ვალი!..
და გაიხარებს თვით ბაღდათის ცა,
შენ ჩანგს მაგარი სიმი რომ მისცა.

სხვისი სხვამ გითხრას - მე ბაღდათის ცის
მინდა გიმღერო ბავშვობის ნანა!..
დღეს აპრილია, აპრილმა იცის
ვაშლის ხეებით სულის გატანა!..

როგორც დედის რძე და ბავშვის ტუჩი,
ასკდება ატმის ყვავილი ყვავილს.
მოდის, ბაღდათის ცას გადაურჩი,
ან საირმეზე ირმების ბლავილს.

1936 ໓.